შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 29355

20/09/2021

**„გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის
განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“
შიდა ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის, „სსიპ - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „უ“ ქვეპუნქტების, აგრეთვე „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 6^1 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ შიდა ინსტრუქცია, №1 დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული შიდა ინსტრუქციის მე-6-მე-8 მუხლებით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით, 2021 წლის 20 სექტემბერს განხორციელდეს გადასახადის გადამხდელებისთვის მათი სიდიდის შესაბამისი კატეგორიების განსაზღვრა.
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, გამოყენებულ იქნას 2021 წლის პირველიდან 15 ივლისამდე პერიოდში გადასახადის გადამხდელთა სიდიდის შესაბამისი კატეგორიების განსაზღვრისთვის გამოყენებული საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მონაცემები, რომლებშიც გაითვალისწინება 2021 წლის 20 სექტემბრამდე განხორციელებული ცვლილებები და დაზუსტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 20 სექტემბრიდან.

ლევან კაკავა

სამსახურის უფროსი